,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2023 წლის 6 ივნისის №125/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელთა განათლების სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის № 59/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

N 3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი
20 ივლისი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი, 1 წევრი ვერ გამოცხადდა:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე;
3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან აფთარაშვილი;
4. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ეფემია ხარაძე (კომისიის მდივანი);

. დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2023 წლის 6 ივნისის №125/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება;
2. დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების ამსახველი ოქმის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

კენჭისყრის დაწყების დრო: 15:00 საათი, თსუ-ის III კორპუსი, აუდიტორია № 110

მოისმინეს:

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ქეთევან ჭკუასელისა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპისა და, აგრეთვე, გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგების შეფასების შესახებ. ასევე, კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა კომისიის წევრებს კენჭისყრის ჩატარების პროცედურა.

კომისია გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს. შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელთა განათლების სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ზაქარია ქიტიაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 4, წინააღმდეგი - 0,

გადაწყვეტილების დასაბუთება:
<u>ასოცირებული-პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა</u>

პრეტენდენტი ზაქარია ქიტიაშვილი დიდი ხანია განათლების დეპარტამენტში აწარმოებს პედაგოგიურ თუ სამეცნიერო საქმიანობას და ძალიან დიდია მისი შენატანი ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფისა და განვითარების თვალსაზრისით.
აღსანიშნავია, რომ ზაქარია ქიტიაშვილი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულია. მას დოქტორანტურაში სწავლის დროიდან მიჰყავს სალექციო კურსები საგნის სწავლების მეთოდიკასა და პედაგოგიკის მიმართულებით, რამაც შექმნა საფუძვლიანი პირობა მისი პროფესიონალად მომზადებისა. ზაქარია ქიტიაშვილი ასოცირებული პროფესორის თანამდებობას განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში იკავებს 2016 წლიდან. ბ-ნი ზაქარია აქტიურად მუშაობს ზოგადი განათლების პოლიტიკისა და სწავლების მეთოდიკის მიმართულებით, მიჰყავს ამ პროფილის სხვადასხვა სალექციო თუ სასემინარო კურსი და წარმატებით ხელმძღვანელობს სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამის სტუდენტების საკვალიფიკაციო ნაშრომებს. პრეტენდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, პროფესიული ინტერესები და განათლების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მას განათლების დარგის განზოგადებული, ფართო კონტექსტში ხედვის შესაძლებლობას აძლევს, რაც განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტისა და მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისთვის სწავლებისა და კვლევის განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას აჩენს. შესაბამისად, ზაქარია ქიტიაშვილის კანდიდატურა სავსებით შეესაბამება განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

დაადგინეს:

- ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა სასწავლო - სამეცნიერო დეპარტამენტის მასწავლებელთა განათლების სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია

ბ) გამოცხადებულ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ზაქარია ქიტიაშვილი;

- შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი №3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის დასრულების დრო 15:30 საათი.

კომისიის თავმჯდომარე:

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

/ /

კომისიის მდივანი:

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ეფემია ხარაძე

/ /

კომისიის წევრები:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან აფთარაშვილი

/ /

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე

/ /

20 ივლისი, 2023 წელი